

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2017 წლის 14 ნოემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება (დანართი №1).

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის
სამსახურის დებულება

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

მუხლი 1. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახური

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში – მერია) პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ხელს უწყობს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

1¹. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს სასაქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, შიდა აუდიტის სტანდარტებითა და მეთოდოლოგიით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;

1². სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

- ა) დამოუკიდებლობა;
- ბ) კეთილსინდისიერება;
- გ) პროფესიონალიზმი;
- დ) კონფიდენციალობა;
- ე) კანონიერება;
- ვ) გამჭვირვალობა;
- ზ) ეკონომიურობა და ეფექტიანობა.

1³. სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს „მერიაში და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.



2. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია. თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მოქმედებს შიდა კონტროლის საკითხების განმხილველ საბჭოსთან (შემდგომში – ჰარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად.

3. სამსახური მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

4. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

5. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მერიის საშტატო ნუსხით.

6. (ამოღებულია - 10.02.2023, №6).

*გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.*

მუხლი 1¹. სამსახურის მიზნები და ამოცანები

1. სამსახურის მიზანია ხელი შეუწყოს მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, რისთვისაც ის დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობით სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანიზებული მიდგომით აანალიზებს, აფასებს და აუმჯობესებს დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას.

2. სამსახურის ამოცანაა მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა და მერის ინფორმირება დაწესებულებაში რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და მმართველობითი მექანიზმის ადეკვატურობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) მერიის წინაშე არსებული შესაძლო რისკების დადგენა და შეფასება;

ბ) მერიის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება

გ) შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საანგარიშო წლის დაწყებამდე, მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) დამტკიცებული წლიური და სტრატეგიული გეგმის წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრში;

ე) შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება;

ვ) სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;

ზ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

თ) მერიის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის,



მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა;

ი) (ამოღებულია - 10.02.2023, №6);

კ) მერიის აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ლ) სპეციფიკიდან გამომდინარე, მერიის ორგანოების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი; კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია; მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

მ) (ამოღებულია - 17.10.2022, №34);

ნ) (ამოღებულია - 17.10.2022, №34);

ო) (ამოღებულია - 10.02.2023, №6);

პ) (ამოღებულია - 10.02.2023, №6);

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა;

რ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

2. სამსახური თავის ფუნქციებს ახორციელებს მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობით.

3. მარწმუნებელი საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტორული შემოწმების სახით და მოიცავს მერიის სისტემაში რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების დამოუკიდებელი შეფასების მიზნით მტკიცებულებების ობიექტურ შესწავლას.

4. საკონსულტაციო საქმიანობა წარმოადგენს ისეთ საქმიანობას, რომლის ხასიათი და მასშტაბი შეთანხმებულია ობიექტთან და რომელიც ემსახურება დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების გაუმჯობესებას, შიდა აუდიტორის მიერ მენეჯერული პასუხისმგებლობის აღების გარეშე. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევას, რჩევას, ფასილიტაციას.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.02.2018წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 2¹. შიდა აუდიტორული შემოწმება

1. სამსახური ახორციელებს შიდა აუდიტორულ შემოწმებას აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით:

ა) შესაბამისობის აუდიტი;

ბ) ეფექტიანობის აუდიტი;

გ) ფინანსური აუდიტი;

დ) სისტემური აუდიტი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

2. სამსახური შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას ახდენს რისკების ანალიზზე დაფუძნებული დაგეგმარების პრინციპით და საანგარიშო წლის დაწყებამდე წარუდგენს მერს დასამტკიცებლად;



3. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) სტრატეგიული გეგმა;

ბ) წლიური გეგმა;

გ) ინდივიდუალური გეგმა.

4. შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ცვლილებები ხორციელდება სამსახურის უფროსის წინადადებით.

5. თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისთვის სამსახური შეიმუშავებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სამსახურის უფროსი. ინდივიდუალური გეგმა განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, რესურსის განაწილებას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდს და სხვა;

6. შიდა აუდიტორული შემოწმება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: აუდიტის დაგეგმვა, აუდიტის განხორციელება, ანგარიშგება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 3. სამსახურის უფლებები

1. სამსახური უფლებამოსილია:

ა) მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, რამდენად სრულყოფილად არის დანერგილი მართვის და კონტროლის მექანიზმები და სხვა;

ბ) განახორციელოს მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი. სამსახურებრივი შემოწმების მეშვეობით გამოავლინოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და კანონიერი ინტერესების შესაძლო შელახვის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, მათი შესაძლებლობის რისკები. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიიღოს, განიხილოს, შეისწავლოს შემოსული წერილები, შეტყობინებები, განცხადებები ან სხვა სახის ინფორმაციები, მოსაზრებები და მოახდინოს შემდგომი კანონშესაბამისი რეაგირება;

გ) (ამოღებულია - 17.10.2022, №34);

დ) მიმდინარე შიდა აუდიტის, სამსახურებრივი შემოწმების ან საკითხის შესწავლა-ანალიზის პროცესში მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან შეუზღუდავად მოითხოვოს საჭირო დოკუმენტური თუ სხვა სახის ინფორმაცია, ამასთან, გასაუბრებაზე გამოიძახოს ნებისმიერი თანამშრომელი შესაბამისი ინფორმაციის ან განმარტების მიღების მიზნით; სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა შესაძლოა განხილულ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მოხელის/თანამშრომლის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომად;

ე) განახორციელოს შიდა აუდიტთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები/ იურიდიული პირები და სათანადო წესით დაუკვეთოს მათ ექსპერტიზის ან/და სხვა სახის კვლევის ჩატარება.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №51 - ვებგვერდი, 26.12.2017წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 4. სამსახურის მოვალეობები

1. სამსახური ვალდებულია:

ა) დაიცვას მერიის დებულების მოთხოვნები, შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის



კოდექსი, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;

ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე, შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შემოწმების ხასიათიდან და კონკრეტული საქმის მასალების თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მყისიერი შემოწმების ჩატარება შესამოწმებელი ობიექტის წინასწარი ინფორმირების გარეშე;

გ) შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, შუალედური სახით, გაუგზავნოს შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება და არგუმენტირებული პასუხი ანგარიშში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აისახება საბოლოო ანგარიშში;

დ) საბოლოო შიდა აუდიტორული ანგარიში და გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა გაუგზავნოს მერს;

ე) შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარუდგინოს მერს, საკრებულოს და ჰარმონიზაციის ცენტრს ყოველი მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე;

ვ) შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესში დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მასალები გადაუგზავნოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებს მერთან შეთანხმებით;

ზ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სამსახურის უფროსის მოადგილისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულების – განყოფილებებისაგან (შემდგომში – განყოფილება).

2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება მერიის დებულებით, ამ დებულებითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის უფროსის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

3. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისგან.

4. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულებით, ამ დებულებით და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით.

5. განყოფილების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულებით და ამ დებულებით. განყოფილების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამის სამუშაოთა აღწერილობებით.

6. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მერიის დებულებით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 18.06.2019წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 16.07.2019წ.

მუხლი 6. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:



- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
- ბ) ანაწილებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და მოსამსახურეთა ფუნქციებს, კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობას;
- გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს; სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;
- დ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;
- ე) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე, ანაწილებს დავალებებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებსა და საჯარო მოსამსახურეთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას;
- ვ) გორის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;
- ზ) გორის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
- თ) გორის მუნიციპალიტეტის მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ;
- ი) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- კ) ახორციელებს კანონმდებლობით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6¹. სამსახურის უფროსის მოადგილე

სამსახურის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, წარმართავს და ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.
- ბ) ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებითა და სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 7. განყოფილების უფროსი

1. განყოფილების უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას; პასუხს აგებს განყოფილების მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
- ბ) უზრუნველყოფს განყოფილების მიერ სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;
- გ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების მოხელეებს შორის, უზრუნველყოფს სამსახურის დებულებით და სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;
- დ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს განყოფილების მიერ სამუშაოების შესრულების შესახებ;
- ე) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;



ვ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზ) სამსახურის უფროსის დავალებითა და კოორდინაციით, მონაწილეობს და უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების, წლიური და სხვა სახის ანგარიშების შემუშავებას.

თ) შეიმუშავებს და შემდგომი განხორციელების მიზნით, სამსახურის უფროსთან ათანახმებს განყოფილების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს;

2. განყოფილების უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 8. სამსახურის განყოფილებები

1. სამსახურს აქვს ორი განყოფილება:

ა) შიდა აუდიტის განყოფილება;

გ) მონიტორინგის განყოფილება.

2. (ამოღებულია - 13.03.2020, №13).

3. სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციებია:

ა) მერიის წინაშე არსებული შესაძლო რისკების დადგენა და შეფასება;

ბ) შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საანგარიშო წლის დაწყებამდე სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;

გ) (ამოღებულია - 10.02.2023, №6);

დ) სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებების განხორციელება, შესაბამისი აუდიტორული ანგარიშის მომზადება და სამსახურის უფროსისთვის დასამტკიცებლად წარუდგენა.

ე) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

ვ) მერიის აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მერთან შეთანხმებით, მასალების შესაბამისი სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა.

თ) მერიის სამსახურების და მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება; ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ი) შიდა აუდიტორული შემოწმებისას, აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობის კანონთან შესაბამისობის ანალიზი და შეფასება. ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა;

კ) (ამოღებულია - 10.02.2023, №6);

ლ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება;



მ) (ამოღებულია - 17.10.2022, №34).

4. სამსახურის მონიტორინგის განყოფილების ფუნქციებია:

ა) შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და კონტროლი. შესაბამისი რეესტრის წარმოება;

ბ) სპეციფიკიდან გამომდინარე, მერიის ორგანოების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი; კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია; მერიისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

გ) შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებული ქმედებების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შეფასება. რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში შედეგების გაანალიზება და დამატებითი რისკების შეფასება.

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა.

ე) მონიტორინგის განხორციელების ვადების, ფორმების და მეთოდების შესახებ სამსახურის უფროსისთვის წინადადებების წარდგენა;

ვ) მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისი ანგარიშის მომზადებას და სამსახურის უფროსისთვის წარდგენას;

ზ) სამსახურის უფროსის დავალებითა და კოორდინაციით, აუდიტორულ შემოწმებაში, შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების, წლიური და სხვა სახის ანგარიშგების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.02.2018წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 18.10.2022წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 13.02.2023წ.

